ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:№44. 442607126
თარიღი:12/03/2026

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N182 განკარგულებით დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციაში ცვლილების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 27 იანვრის N№44. 44260279 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-4, მე-5 და მე-12 ნაწილების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და IX თავის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2026 წლის 10 მარტის N45-452606910 მომართვისა და სსიპ „სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი სააგენტოს უფროსის 2026 წლის 11 მარტის N138-1382607013 წერილის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N182 განკარგულებით დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციაში ცვლილების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 27 იანვრის N№44. 44260279 ბრძანებაში. კერძოდ ბრძანების მე-2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N182 განკარგულებით დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციაში ცვლილების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ორგანიზების უზრუნველსაყოფად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა/. გიორგი ცხაკაია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი

მოადგილე - ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ/. მამუკა ხიმშიაშვილი, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე - ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;

გ/. თამთა ხაჟომია, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ურბანული განვითარების დეპარტამენტის უფროსი - ჯგუფის წევრი;

დ/. გიორგი ჭიღვარია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი;

ე/. ლაშა გვენეტაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ჯგუფის წევრი;

ვ/. გიორგი გოგალაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;

ზ/. მამუკა სინაურიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - ჯგუფის წევრი;

თ/. ირაკლი გიორგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;

ი/. ნინო ცხოვრებაძე-ჭუმბურიძე, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის აპარატის უფროსი - ჯგუფის წევრი;

კ/. ანდრო მარჯანიშვილი - ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ლ/. თეონა მაკარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი საქმიანობის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;

მ/. თეა აბდალაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ძეგლთა დაცვის, საკონსულტაციო საბჭოებთან ურთიერთობისა და მონაცემთა ბაზების მართვის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;

ნ/. ნინო ხიჯაკაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ძეგლთა დაცვის, საკონსულტაციო საბჭოებთან ურთიერთობისა და მონაცემთა ბაზების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ჯგუფის წევრი“.

2. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ. გვერდზე https://www.kutaisi.gov.ge/.

3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ქუთაისი, ვ. კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი